

ტფილისის საკლასო კონფერენციის შედეგად.

ტფილისის საკლასო კონფერენცია დავისრულებულია. პარტიული მასის ყურადღების ცენტრი უკანაგახსნულ პერიოდში მიპყრობილი იყო ამ კონფერენციისაკენ.

რა გეგმობდა კონფერენციამ? რა გამოარკვეა მან? როგორი ძალთა განწყობილების წინაშე ვდგევართ? როგორი ელემენტებისაგან შედგება პარტიული რიგები?

კონფერენციამ ნათელი გახადა, რომ პარტიული რიგები შედგება მშრომელთა ელემენტებისაგან—ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ჩვენს რიგებში არ არის მცონარე ინტელიგენტები, როგორც წინეთ, მაგრამ იგი მდიდარია მშრომელი ინტელიგენტებით და ეტყობა ზრდა მუშათა წრეებს. ორგანიზაციული კავშირი ქალაქის მასშტაბში თუ მოსახლეობაში ამ რამოდენიმე თვის წინად, დღეს ეს ნაკლი თითქმის ძლეულია.

კონფერენციის თავის მუშაობის პროცესში მოუხდა არა მარტო საორგანიზაციო საკითხების განხილვა, არამედ პოლიტიკური ვითარების გარკვევაც, იმ თავითვე დასმული დიავნოზი, დღესაც საფუძვლად უდევს ჩვენ პოლიტიკურ გეზს. საერთაშორისო ძალთა შეფასებაში, ჩვენ რადიკალური ცვლილებების მოხდენა არ დაგვიკრებია. პარტიის პირველი ყრილობის მიერ გამოცხადებული პოლიტიკური პლატფორმა ისევ მტკიცე და ურყევეა.

რაც შეეხება პროგრამის ზოგიერთი მუხლების გადასინჯვას, ეს საკითხი ფაქტის საკითხია. მინიმუმში პროგრამა არსებითად გადასინჯული იქნა პარტიის პირველი ყრილობის მიერ. კონფერენციამ

საგზოთა მოწყობის საკითხი

მოხკოვი. 7 ივლისი. 8 ივლის დიდის ზეგნით გახსნა საკავშირო ცაკის სესია. სესიის გახსნას დაესწრო მთელი დიპლომატიური კორპუსი. სესიამ ეწვია დამატებითი ს. ს. რ. კავშირის ძირითადი საკითხი—კონსტიტუცია და აგრძელებს უნდა იპოვოს საკავშირო სახ. კომისარია საბჭო.

დიდი სიტყვით გამოვიდა ახლ. ენუქიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიღებით ზოგადოებრივად დასრულდება ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება. „დღემდე, სთქვა ახლ. ენუქიძემ, — საბჭოთა რუსეთმა, რომელსაც თავს ესხმოდა უცხოეთის კაპიტალისტები, შიგნით კი მას უხდებოდა ბრძოლა შავ კონტრ-რევოლუციონერებთან, ვერ მოახერხა ამის განხორციელება. მაგრამ ს. ს. რ. კ. კავშირისა და გლეხების გმირულმა ენერგიამ სძლია ყველა დაბრკოლებას.

შინაური კონტრ-რევოლუცია განდგურებულია ერთხელ და სამუდამოდ. ოცნება უცხოეთის ინტერვენციის შესახებ ჯერ კიდევ სცოცხლობს ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, მაგრამ ს. ს. რ. ძლიერი კავშირის დამყარება მალე დაუპირავს მათ რუსეთში არსებული წესწყობილების შეცვლის ცდის სურვილს.

კაპიტალისტების შექარა აიძულებს საბჭოთა რესპუბლიკებს გაერთიანდნენ სამხედრო საქმის, საგარეო პოლიტიკის და საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობისათვის. ამასვე აიძულებს მათ ს. ს. რ. კ. ეკონომიური აღორძინების ინტერესებიც.

საკავშირო კონსტიტუცია ითვალისწინებს ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზე მცხოვრებ ერების კულტურის ნაციონალური თვით შეგნების დონის და ყოფი-ცხოვრების სხვა და სხვაობას. ეს აძლევს საბჭოთა რესპუბლიკებს შესაძლებლობას განავითარონ თავის ნაციონალური ძალები, ააბალონ ცალკე ერების კულტურული დონე.

ყველა ამ საკითხების მოგვარება ევალება ცალკე რესპუბლიკის სახ. კომისარიატებს. კონსტიტუცია საშუალებას აძლევს ცალკე ერებს განავითარონ თავიანთი კულტურა იმ ენაზე, რომელიც მათთვის გასაგებია, მაგრამ რუსული ენა, როგორც ენა ოქტომბრის რევოლუციისა მშობლიურ ენასთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ს. ს. რ. კავშირში. მთელ ტერიტორიაზე.

ყველა ერებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ეს ენა გავრცელდეს და განვითარდეს.

ენებმა, რა ქვეყნებშიცაა საკითხი, ახლ. ენუქიძე ამბობს, რომ ს. ს. რ. კ. ყველა მოქალაქე ერთნაირი უფლებებით სარგებლობს რესპუბლიკის კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ის ერთ და იმავე დროს არის მოქალაქე როგორც ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს, ისე ცალკე რესპუბლიკისა. ასე-

საკავშირო კონსტიტუციის შედეგად.

საკავშირო კონსტიტუციის შედეგად, რომელიც პარტიული მასის კანონიერ მოთხოვნებისა, რომ საპროგრამო პროგრამის ზოგიერთი მუხლების შესწორება, თანახმად ჩვენი ძირითადი პრინციპებისა და პოლიტიკური პლატფორმისა და ამიტომ კონფერენციამ საჭიროდ სცნო ყურადღება შეეცნებოდა ამ საკითხის შესახებ.

ეს საკითხი თვეების მუშაობას მოითხოვს. ჯერ კომინტერნაცი ვერ ჩამოუყალიბებია პროგრამა, რომელიც მთელს რევოლუციონერ მოძრაობას ხელმძღვანელობს. მიუხედავად სიმძლისა ამ მხრივ მუშაობის დაწყება აუცილებელია.

კონფერენციამ დაინახა, რომ პარტიული მუშაობისათვის უკვე ნიადაგი მზად არის. ის პოლიტიკური პარტიები, რომელნიც სასტიკად ამხედრებულნი იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ და ყოველგვარი საშუალებით იბრძოდნენ, დღეს თითონ დარწმუნდნენ თავის შეცდომაში და საკვებნოთ აღიარებენ ამ შეცდომას. ამ გადატეხას საზოგადოებრივ აზრში თან ახლავს ლტოლვა პარტიისაკენ. ქალაქის მასშტაბში ორგანიზაციის წევრთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

ის ელემენტები, რომელნიც პარტიის განხეთქილებამდე მიმდრეკილი იყვნენ, მაგრამ განხეთქილების შემდეგ არც ერთ ფრთას არ დაკავშირებია, დღეს უკვე უზრუნველნი პარტიის რიგებში.

ტფილისის კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლის სისრულეში მოყვანა კიდევ მეტად ასწვს პარტიის სიძლიერეს, სიკრძალოს, მის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეს.

ქართული ენა და იმერია

მკითხველს შეიძლება ეუცხოოს ამ წერილის სათაური და სთქვას, ნუ თუ იმერიაში სხვა არის და ქართული კიდევ სხვა. დიახ, იმერიაში სხვა რაღაცა, როგორც განსხვავებული ფრაზოლოგია, იგია აზრის გამოთქმის ისეთი ღონე, რომელიც დედაქართულს არ მოეპოვება, ხოლო ის იმერელი მწერალი, რომელიც იმერიაში გამოიყენებს, დიდ სიძლიერეს შესძის ქართულ აზროვნებას. ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, მაგრამ ეხლანდელ იმერელ მწერლებს სამუშაოდ იმერიაში ჰგონიათ; სად წადი (წახვდი), როდის მოდი (მოხვედი), ვერ გაიგე (გაიგეს), გაერთენ (გაერთენენ), დაესწრენ (დაესწრენ), წაიღეს (წაიღეს), მოჰყვანეს (მოჰყვანეს), მოხიან (მხერებენ), ყვეს (ყვანან), იყონ (იყვნენ), ეცადონ (ეცადნენ), ეხვეწონ (ეხვეწნენ), დაეშვენ (დაეშვენ), აჰყენ (აჰყეს), უნდებია (უნდათ) და სხვა ბევრი ათასი ასეთი მახინჯი ფორმა, რომლითაც აპყრებულა დღევანდელი მწერლობა. ასეთი ამბავი სამუშაოდ მით არის კიდევ, რომ ამ მახინჯი ფორმების ხმარებას, ეტყობა ერთგვარი მისწრაფება, რომელსაც საკვებნოთ გაუხდია თავისი თავი და თითქმის წარმომადგენელი იყვნენ წმინდა ქართული ენის მეტროპოლიტის, სცდილობს, დედა ქართული ჩააყენოს ეარგონის, პრივიცი-ლიზმის მდგომარეობაში.

მოგეხსენებათ, დედა ქალაქი სავსეა იმერელი ნასწავლ კაცობით, დიდი ნაწილი მათი ქართულ კულტურას ემსახურება კალმით, მაგრამ პირდაპირ საოცარია, რომ ვერ შეუგნიათ აღმოსავლური ლაპარაკის სიკეთე, მისი გრამატიკული ფორმები, რომელიც სწორია და ძველ კლასიკურ ნაწერს ეთანხმება. ბუნების დიდი უსამართლობა იქნებოდა, რა ქართულ მწერლობას საფუძვლად დასდებოდა სხვა რომელიმე კილო და არა ენა ქართლისა, რომელსაც ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც რუსულსთვის მოსკოვს, ფრანგულსთვის პარიზს და ინგლისურსთვის ლონდონს.

ვიღერ იმერეთში ვსცხოვრობდი, როგორც იქ დამაძებელი და აღზრდილი, თავი მომეონდა იმერული ენით, რომელიც მესმოდა და რომელსაც ვლაპარაკობდი პირველ ხანებში, მაგრამ როცა გასული საუკუნის სამოცდაათი წლებში მოწაფეობის დროს დავიწყე ძველი კლასიკური მწერლობის კითხვა და მერმე ქართლს ვადმოვედი საცხოვრებლად, დავაკვირდი ქართლის ქართულსა, სწორედ მაშინ დავრწმუნდი თუ, იმერულში რამდენი გრამატიკული სიმბინჯია, რათანაც მათი ფარდი ფორმები, რომელიც დღეს ქართლში იხმარება, ინდროსვე ძველ კლასიკურ ქართულს ეთანხმება. ნუ თუ ასეთი გარემოება ვერ უნდა შენიშნოს იმერელმა ინტელიგენტმა, რომელიც დედაქალაქში სცხოვრობს და ქართული კულტურის მეცხოვრობასაც ჩემულობს? არა, როგორ ვერ ჰხედავს დედა ქართლის უპირატესობას სხვა კილოების წინაშე, მაგრამ მაგარი ის არის, რომ იგი გამხდარა პარტიკულარისტი ქარ-

ახალი ამბები

სესიის ჩათანის ქარხანა. ა. კ. სახ. კომისარია საბჭოში წინადადებით მიმართა ფინსაკომს, რომ უნდა, მეორეობის სახ. საბჭოს გაუხსნას 40 მილიარდის სესიის ჩათანის ქარხნის საჭიროებისათვის.

— ადგილობრივ ფონდებისთვის. ა. კ. სახ. კომისარია საბჭოში ოზურგეთის აღმასკომიდან მიიღო ადგილობრივ ფონდების სასარგებლოდ ოზურგეთის მაზრაში აკრეფილი სამოქალაქო ბეგარის თანხები.

— მოკენილ გზების შეხაკებულად. ა. კ. სახ. კომისარია საბჭოში დამატკიცა მოკენილ გზების შესაქმნელად ახალ-ალრისკვა. შეკეთდება: ბორჯომ-ახალციხე-ახალქალაქის და ტფილის-ალექსანდროპოლის მოკენილი გზები.

— საქართველოს აგარაკებისათვის. საქართველოს აგარაკების აღსადგენად ა. კ. სახ. კომისარია საბჭოში გადასდო 20 მილიარდი.

— სამხრეთ-ოსეთის სტამბა. სამხრეთ-ოსეთის სტამბის მოსაწყობად სახ. კომისარია საბჭოში გადასდო 3 მილიარდი მანეთი.

— ნახივების მართი. ა. კ. სახ. კომისარია საბჭოში წინადადებით მიმართა აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებს, რომ მათ მიიღონ ზომები ნახივების მართის მდგომარეობის მრეწველობის აღსადგენად.

— ბაქოს ტრამვაისთვის. ა. კ. სახ. კომისარია საბჭოში აუცილებელ საჭიროებად სცნო ამ წლის მეორე ნახევარში ბაქოს ტრამვაის საჭიროებისათვის გაიღოს 50 მანეთი ჩერვონეცით.

საერთაშორისო კომპარაციის დღე.

7 ივლისს საერთაშორისო კომპარაციის დღე ტფილისში ბრწყინვალედ ჩატარდა. ქალაქი გაუფიქრი იყო 5 რაიონად. ყველა რაიონებში გაიმართა მინი-ტრინგი და მოხსენებები კომპარაციის შესახებ. დუქნები მორთული იყო ყვავილებით. ქართული დოვითის მფრინავი რაზმი მაყრობიდან ჰყრიდა ფურცლებს. ქალაქებში გაკრული იყო პლაკატები. კომპარაციები ამ დღეს საქონელს ყიდდნენ დაკლებულ ფასებში.

— სახელმწიფო მამულების მოსავალი. ვინიდან სახელმწიფო მამულების მიმდინარე ზაფხულის მოსავალი წინასწარ არ გაიყიდა, მიწაზემყოფების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა სახ. მამულების წრეგანდელი მოსავალი გამოიყენოს სამეურნეო საშუალებებისთვის.

— პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კურსები. 15 ივლისს ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილება სსსის ორთვიან პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კურსებს. კურსს დასრულებულნი დაიგზავნებინა წაწილებში. კურსებზე სულ იქნება 50 მსმენელი.

— საინტარგულ განათლების სახლი. მუშაობა სანიტარულ განათლების სახლის შეკეთებისათვის წარმატებით მიმდინარეობს. სახლის გახსნა განზრახულია აგვისტოს 1-სათვის.

— პენსიები. გან. სახ. კომ. მიერ გადაგზავნილა ქუთაისის, თელავის, გორისა და ოზურგეთში 645,750 ათასი მანეთი პენსიის გასაცემად.

— როგორც ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა ზუგდიდის მაზრაში დიდძალი სიმინდია, რომელიც

ჩივის საფუძვლიან კომისიას, პოზიციის საუბედროდ ამ კომისიაში მოხდენ კაზოლესკი, რომელიც მიუღებელი პიროვნებაა, რაგონური და პირკულოვი. ეს პირობები ღირსეულად ასრულებდნენ თავიანთი ვალდებულებას. არ გასულა ორი კვირა და უკვე რეგზია მოახდინეს. გაიარა ცოტა ხანა და როდესაც გაიგეს, ანუ ეჭვი მიიტანეს, რომ საზოგადოებაში რაღაც ბოროტ-მოქმედება ხდებოდა, მოინდომეს მოულოდნელი რეგზიის გაკეთება, მაგრამ ჩხიძემ, სვანდემ და ბაცაცებმა მათ დაეთრებინათ არ მისცეს და არ დაუშვეს სარეგზიოთ; ამის გამო სარეგზიო კომისიამ თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალა და მეორე დღეს განცხადება შემოიტანეს კოორტეში გადადგომის შესახებ. ქურდს რა უნდოდა, და ბნელი ღამეო. ესეც პოზიციის უნდოდა. საწვრთნო მოიწვიეს დღეგატა კრება, სადაც დსვკეს ეს საკითხი და დანაშაულები დასჯის გამო გადაყენებულ იქნენ პირკულოვი და კაზოლესკი: პირკულოვი სულ გააგდეს, საბუთად ის გამოიყენეს, თითქმის ქართველებს და სომხებს შორის პროვოკაციის ახდენს.

გაგდეს კიდევ ერთი სომეხი, რომელსაც ბევრი ლაპარაკი უყვარდა და მუდამ აკრიტიკებდა პოზიციას. ამ კითხვის გადაწყვეტის დროს მე თავს ვიკავებდი, რადგან არ ვიცოდი, პირკულოვი მართლა პროვოკატორი იყო, თუ არა. რასაკვირველია სარეგზიო კომისიაში გაიყვანეს თავიანთი ხალხი და აგერ უკვე გავიდა მას აქეთ რვა თვე და ერთხელაც არ გაუტეხიათ რეგზია. ერთხელ, როდესაც ერთ-ერთი კომიტეტის წევრი ჩხიძეს ეუბნებოდა, ანგარიშები მოვაწესრიგოთ, თორემ, ერთ-ბაშად რეგზია არ გაგვიკეთონო. თავმჯდომარე ჩხიძემ ამ კითხვაზე უთხრა: „ნუ გეშინიან, ახლა სარეგზიო კომისია ჩვენიაო“.

აქ თვით მკითხველი მიხვთეს, რას ნიშნავს ეს „ჩვენია“.

როდესაც მე ეს ფაქტი აღვნიშნე, დღეგატებს მოუწოდეს აერჩიათ მართლა ღირსეული ხალხი კომისიაში.

როდესაც არჩევნების გადადების შესახებ დაიწყეს მსჯელობა, მე ვსთქვი: „ჩემთვის სულერთია, არჩევნებზე ვინც ვაღიარებ, ვინც არა, მაგრამ ეს კი ცხადია, როდესაც ჩვენ რწმუნების ვადა გავგვიცა და ჩვენ არჩევნებს არ ვახდენთ, ეს აშკარა უკანონოა და პირადად მე არ მინდა ვიყო უზუზუპატორი და პროტესტს ვაცხადებ გადადებისთვის“.

არჩევნების გადადება უნდოდათ რადგან, პო-

ზიციას ასეთი ჩვეულება აქვს: ვინც ამით წინააღმდეგ გამოდის, ჯერ ცდილობენ ასეთი პიროვნება მოიჭრათ, ხოლო, თუ ეს ვერ შესძლეს, დაუყრდნობენ გააძევებენ საზოგადოებიდან. მეორე დღეს პოზიციის საქმე შერყეულია და იმედი არა აქვთ, რომ ახალ არჩევნებზე გაიმარჯვონ, მარტან დღეს ოპოზიცია საკმაოდ ძლიერია.

აქ მინდა აღვნიშნო შემდეგი: დღემდე ოპოზიცია სუსტი იყო იმის გამო, რომ ბადავი, ჩხიძე და სვანდემ ქართველ დღეგატებს ეუბნებოდნენ: რუსები და სომხები გვიდგანან ოპოზიციაში, მათ ქართველების მოსპობა უნდათ, ჰკათ მაგათო! დღეგატები ერთხანს უჯერებდნენ ბადავს, ჩხიძეს და სვანდემს, მაგრამ რა დანიხეს დღეგატებმა, რომ ბადავი, ჩხიძე და სვანდემ ეროვნული საჩუქრით თავიანთ ჯიბეებს ისტელებდნენ, დღეგატებმა თვით მათ ჰკრეს, და გააძლეს თვით ქართველებში ოპოზიცია, ამიტომ უნდათ არჩევნების გადადება, რომ როგორც ეს ქართული ოპოზიცია მან. მალე დაშალონ, ზოგი მოიჭრათ, ზოგი დააშინონ, ზოგი გარიცხონ საზოგადოებიდან და თუ საჭიროება მოითხოვს ჭოროკანა ჯაშუშობას საშუალებით, ერთი ამ ოპოზიციის ლიდერთაგან, ჩლიძე ცხენშიაც ჩასვან, როგორც დაუშქრენ 14 ივნისის დღეგატთა კრებაზე. ამგვარად, არჩევნების დროს ხელის შემშლელი, სიმართლის მთქმელი და მოწინააღმდეგე აღარავინ ეყოლებათ და თავიანთი გამარჯვება წინასწარ უნდათ უზრუნველყოფილი.

მესამე კლუბში პოზიციის ამხანაგებმა ყველამ შემოსავლიანი ადგილები გაიჩინეს. ბადავი და ჩხიძემ, ეს იგი, კლუბის და მთელი საზოგადოების „დიქტატორ ხაზინებმა“ კლუბში მოაკლათეს თავიანთი ცოლები, ცოლის ძმები და მამიდა-დედა-შვილები შრომის ბირკის გარეშე. რასაკვირველია ახალი არჩევნების შესახებ, თუ დამარცხდა პოზიცია, ყველანი გაიკიცხებიან კლუბიდან და პასუხისგებაშიც იქნებიან მიცემულნი ზოგი მათგანი არსებული კანონების დარღვევისთვის. აი ამიტომ უნდოდათ არჩევნების გადადება სექტემბრამდე.

დანარჩენ ბოროტმოქმედებაზე შემდეგ. საქართველოს შინაგან მრეწველთა სასურთ-ერთო დამხმარე საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი და ქალაქ ტფილისის საბჭოს წევრი —

ვარლამ ჩლიძე.

S. P. ესთხოვ ქართულ, რუსულ და სომხურ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ვ. ჩ.

მანქანების გამოგონება და შესწორება-გაუქმების იმას კი არ შეუძლიან, ვინც მას სურათებით და მოხაზულობით იცნობს, არამედ მხოლოდ იმას, ვინც მანქანას საქმეზე იცნობს, ვინც მასთან არის მოქმედების დროს და ძალა-უნებურად აფიქრდება მის ავად თუ კარგად მუშაობასა, მარტო ასეთებს შეუძლიან მანქანის გამოგონება თუ გაუკეთებლობა...

გამოღის, რომ სამანქანო და სხვა ყოველი საქმის წინაშეგდომისათვის აუცილებლად საჭიროა მუშების განვითარება, მუშების ტექნიკურად კარგად გათვითცნობიერება, იმ მუშებისა, რომლებიც მარტო მანქანასთან არიან, მაგრამ სრულიად კი არ იცნობენ მას... და ჩვენ კი თითქმის განგებ სრულიად არ ვაძლევთ მათ ასეთ ცოდნა განვითარებას. გამოღის, რომ მუშები უთუოდ მოზიარე უნდა გავხადოთ ტექნიკური და საზოგადო განათლებისა, საჭიროა მუშის ყოველმხრივად განვითარება-განვითარება. უამისოდ ვერა და ვერ წავალთ წინ და ვერც მრეწველობა-მეურნეობას წავწევთ წინ...

ზოგს ჰგონია, რომ ამისთვის სრულიად საკმარისი მოვასწადოთ საჭირო რიცხვი ტექნიკოსთა თუ მექანიკოსთა და ჩვენი საქმეც კარგად გამოზრუნება, კარგად წავა წინ, მაგრამ ასეთი აზრი შემცდარია: არა კმარა მარტო ზოგიერთების მომზადება, აქ საჭიროა უთუოდ შეცვლა მთელი სწავლა-განათლების სისტემისა და საფუძვლების და ჩვენც უთუოდ გაგებულად უნდა დავადგეთ ამ გზას, ე. ი. საყოველთაო კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ ჩვენ სამეცნიერო სწავლა და ასევე საყოველთაო და სავალდებულო კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ ტექნიკური და სახელოსნო ცოდნა-განათლება, მაშასადამე, უნდა გავავითაროთ ეს ორი მხარე ყოველი ადამიანის განათლებისა და ერთნაირ სავალდებულო მოთხოვნილებად ვაღიაროთ იგი ყველასთვის და ყოველსთვის...

ასე, დღეს რომ „ტექნიკური განათლების“ დაწყება საზღვრავს თავის თავს გონებრივ განათლებისაგან, ეს უთუოდ უნდა მოისპოს და თავიდან ბოლომდე მთელი სწავლა-განათლება, პატარაობიდან დიდობამდე, უნდა იყოს არა თუ ტექნიკური ანუ ზოგადი, არამედ ინტეგრალური, ე. ი. სრული, მთლიანი, გაერთიანებული და ამ სახით მოისპოს განათლების ასეთი განაწილება...

სკოლამ უნდა მისცეს ორივე სქესის ახალ-გაზრდობას: 1) ისეთი სამეცნიერო სწავლა, რომ მათ 18 წლოვანობაში უკვე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მეცნიერებაზე და კვლავაც შეძლოთ სამეცნიერო მეცადინეობა და 2) მისცეს ცოდნა ყველა იმისა, რაც შეადგენს საფუძველს ტექნიკური განათლებისა და თან ერთი რომელიმე მისი დარგის იმდენად კარგად და სპეციალად შესწავლა, რომ სასწავლებლიდან გამოსვლის უშუალო შემდგომ ქარხნებში თუ სხვა რომელიმე წარმოებაში თავისუფლად მუშაობა...

ბიბლიოგრაფია

„სოციოლოგიის შესავალი“. ალ. ვაჩიშვილი. ბ. ა. ვაჩიშვილის წიგნი „სოციოლოგიის შესავალი“, ჩვენს დაცარიელებულ წიგნის ბაზარზე სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართველი საზოგადოება პირდაპირ მოწყურებულია ქართულ სამეცნიერო წიგნს, და შემდეგ იმიტომ, რომ ენება ისეთ დისციპლინას რომლის შესახებ ქართულად თითქმის არაფერი დაწერილა.

მართალია, სოციოლოგია სხვა მეცნიერებებთან შედარებით ახალ მეცნიერებად ითვლება, მაგრამ მას უკვე ერთი საუკუნის ისტორია აქვს, და ამ მანძილზე, ქართული აზროვნება ისე ჩამოიჩა საერთო გზას, რომ სოციოლოგია ჩვენში რაღაც უცხო სტუმარია, და მის შესახებ სერიოზულად არ-სამ კაცს თუ უფიქრნია. ამ თვალსაზრისით, ქართულ უნივერსიტეტს მიუძღვის დიდი დამსახურება, რომ ინტელექტუალურ შესაგრებაში სოციოლოგიის ნაკლი შეუშვა და ამას იქით, ამ მეცნიერებისთვის საქართველოშიც გადაშალა ახალი ასპარეზი. ბ-ნ ვაჩიშვილის წიგნი ამ უნივერსიტეტთან გამოცემად, და როგორც სერიოზულ მოვლენას, ასევე მინდა შევხედო და რამდენიმე ჩემი მოსაზრება ამ წიგნის გამო ქართველ მკითხველს გაუზიარო.

გგონია, რომ შრომა ხელთ-ნაწერის უფლებით არის, და მაშასადამე იგი წარმოადგენს გმამას, ან და თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეოლოგიურ ხარჯთ-აღრიცხვას. ლიტერატურაში კი არა, სტამბაშიც რომ იყეს დაბეჭდილი, აკადემიურ გამოცემის ყველა პირობათა შესრულებით, იგი ამ გვერდის ხასიათს მაინც ვერ ასცდება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ საერთოდ სოციოლოგიურ ლიტერატურაში, სოციოლოგიის სახელმძღვანელო ერთი-ორი თუ დაწერილა როგ. მაგ. დე-გრევის „სოციოლოგიის შესავალი“ და ელემენტარული კურსი: „სოციოლოგიის სახელმძღვანელო“, ან კარევის „შესავალი სოციოლოგიაში“, ამ შესწავლის ელემენტარული სოციოლოგია, ან ახელის და იქნებ ერთი-ორი კიდევ სხვა ავტორის, ეს არის მთელი ბიბლიოთეკა. ამათგან მეტი წილი მაინც ვერ დგანან ღირსებათა სიმძლავრე. ასეთ პირობებში დამთავრებულ წიგნის გამოტანა მეტად პასუხისმგებელი საქცილად ჩაითვლებოდა. უფრო მეტს ვიტყვი. გგონია თვით ავტორიც დამეთანხმება, რომ ეს

ბევრი შეუძლებლად სცნობს ასეთი ვრცელი პროგრამის შესრულებას, მაგრამ თუ ჩვენს დროიან-დღეს გონებრივ ავლა-უბეჭდვას ვაძლევთ, უნდა იმას, რაც სრულიად მეტია, დანაშაულები და ან რაც თითოეულ შეუძლიან შეითხროს ვაცხადებოდა, ში, როცა ეს მისთვის აუცილებლად საჭირო იქნება, დარწმუნებით, რომ ყველა ეს ადგილი შესასრულებელი იქნება და დიდად სასარგებლოც... ერთი ასეთი გამოცდილება უკვე იყო მოხდენილი მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებელში ოცი წლის განმავლობაში და რა აღმოჩნდა? აი რა:

მსოფლიო გამოყენებმა, რომლებიც მოხსენებულ ოცი წლის განმავლობაში გაიმართა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში—ბროუსელში, ფილადელფიაში, ვენაში და პარიზში და რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ტექნიკური სასწავლებელიც, აშკარად დაუმტკიცეს ქვეყანას ის დიდი უპირატესობა, რომელიც სწავლის მთლიან, სრულ, გაერთიანებულ (ინტეგრალურ) სწავლა-აღზრდის ცალმხრივად გაყოფილ სწავლა-აღზრდაზე.

მოსკოვის ტექნიკური სასწავლებელი შესდგებოდა ორი სკოლისაგან: 1) მოსამზადებელ კლასებისაგან, რომლებშიაც იღებდნენ ყმაწვილებს 15 წლის ქვევით და 2) საკუთრივ ტექნიკურ სასწავლებლისაგან, რომელშიაც იღებდნენ არა ნაკლებ 15 წლის ყმაწვილებს. ამათგან თხოულობდნენ მხოლოდ საფუძვლიანად ცოდნას გეომეტრიისა, ალგებრისა და რუსულის ენისა. ტექნიკურ სასწავლებელში იყო ორი განყოფილება: მექანიკური და ქიმიური. სწავლა მექანიკურში ხუთს წელს გრძელდებოდა.

აღმოჩნდა, რომ იმ ხუთს წელიწადში მოსწავლენი სწავლობდნენ აქ უშუალოდ მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას და ამათგან დაკავშირებულ სხვა მეცნიერებათა იმდენად საფუძვლიანად, რომ გამოყენათა ექსპერტებმა მოსკოვის ტექნიკური სასწავლებლის მოწაფეების ცოდნა და მუშაობანი გამოაცხადეს უშუალოდ ევროპის ყველა უნივერსიტეტების სამათემატიკო ფაკულტეტების სტუდენტების ცოდნა-მუშაობაზე და ქების ფურცლებითაც დააჯილდოვეს.

ეს ცოტაა: იმ დროს, როცა უნივერსიტეტთა სტუდენტებმა არ ჯიჯივდნენ რაში გამოეყენებიათ ხელები, ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტები აკეთებდნენ საკუთარი ხელით გასაყიდად ორთქლის მშენებარე მანქანებს და აგრეთვე სამეურნეო და სასწავლო სამეცნიერო იარაღებს, რაზედაც ექსპერტებმა ბევრს მათგანს ქების ფურცლებიც მიუბოძეს. ასე რომ მოსკოვის ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტები იყვნენ იგივე მუშები იმ განსხვავებით, რომ თან უშუალოდ განათლება ჰქონდათ მიღებული და კიდევც ამიტომ დიდად აფასებდნენ მათ ყველაგვარ ქარხნებში.

ივ. როსტომაშვილი.

(დასასრული იქნება)

საშუალო განათლება

18 მრეწველობა, შეერთებული მიწათმოქმედებასთან

გონებრივი შრომა და ხელ-გარჯილობა

(დასასრული)

უწინდელს დროში მეცნიერები არ თავილოდნენ ფიზიკურ შრომას და მუშაობას. მაგალითად, ისტორიიდან ვიცით, რომ ფილოსოფოსი სოკრატე იმეც დროს ქვეის მთელი იყო. მეცნიერება გაცილებით ოთხთნა გააკეთა დღურბნდები, რომლებმაც ათეოლოგიკება ცას ზ მნათობებს. ნიუტონიც ახალ-გაზრდობაში ძალიან მისდევდა ზეინკობას, უყვარდა სხვა და ხელმარჯვე იარაღების კეთება, მუშების გაჩაჩხვა და ბოლოს, ისეთი კარგი დურბინი გააკეთა, რომ ყველას უყვარდა. ლეიბნიცს უყვარდა მანქანების კეთება და ახლების გამოგონება, უყვარდა მეტადეურ ქარის წისკვილებისა და უცხენო ეტლების კეთება თანასწორ იმ მათემატიკურ და ფილოსოფიურ მსჯელობებთან, რომლებსაც მისდევდა ის, როგორც მეცნიერი, ლინნეი გახდა დიდებული ბოტანიკოსად მამის მიზეზით, რომელსაც შეგლოდა მეტადეობაში. მოკლედ: ხელოსნობა და საზოგადო ხელგარჯილობა არა თუ როდისმე და ვისმე სელს უშლიდა რამეში არამედ, პირიქით, ხელს უმართავდა ყველას მათს სამეცნიერო მეცადინეობა-მუშაობაში.

სწორედ ასევე უწინდელი მუშები თუცა არ მისდევდნენ მეცნიერებას, მაგრამ გონებრივად მაინც საკმაოდ ვითარდებოდნენ მაშინ, რადგანაც ის სხვა და სხვა ხელოსნობა, რომლებსაც ისინი თავიანთ სახელოსნოებში აწარმოებდნენ, ძალიან ანეითარებდა და აფხიზლებდა მათ, მრავალგვარად ავარჯიშებდა მათს ნიჭებსა. ან კიდევ, ვისაც შემთხვევით ჰქონდა მეცნიერებთან დაახლოვება-გაცნობისა, ეს განემოგება, ხშირად, ძალიან ხელს უწყობდა მათს პირველ ინტენერსად. ხოლო, რამდენი იყო მდღერების შეილება, რომ პატარაობაში შეიბრდნენ სამეცნიერებში თუ სხვა სახელოსნოებში და უყვარდათ იქ მყოფი საათობით ყოფნა და საქმის დაკვირვება. ამბობენ შემდეგში ბევრი გამოვიდა შესანიშნავი მექანიკოსი, მაგალითად, სმიტსონი და სტივენსონი.

ჩვენ შევცდებით ყველა ეს აქაო და შრომის განაწილება კარგიაო, ჩვენ სასტიკად განესაზღვრეთ გონებრივი მუშაობა ფიზიკურისაგან და ამიტომ, ახლანდელი მუშები არა თუ მოაკლდნენ იმ ცოტა განათლებასაც, რომლებსაც მათი მამები იღებდნენ, არამედ მოაკლდნენ თვით პატარა სახელოსნოების ცნობასაც, ხოლო, მათი ხელებიდან ქალები უკვე

13 წლიდან მიდიან მუშებად, მდნებში და ქარხნებში სამუშაოდ რომ ხელად დაიფიქონ ის მცირე რამეც, რაც ვინ იცის, რა ტანჯვით არ ისწავლეს სკოლებში.

რაც შეეხება სწავლა-მეცნიერების მიმდევრებს. ამთხე ხომ ნულარას იტყვიან: ამათ სულაც შეიჯავრეს ყოველი ხელგარჯილობა! ჩვენს დროში განა ვისმეღა შეუძლიან დურბინისა თუ გნებავთ სულ უბრალო იარაღის გაკეთება? მომეტეულს მათგან ისიც არ შეუძლიან, რომ დეუხატონ ოსტატს-ასეთი და ასეთი ნივთი გამოიკეთო!... თავისი სიძულვილი ხელგარჯილობისადმი ნასწავლებმა იქამდინაც კი მიიყვანეს, რომ ქადაგებენ: „ჩვენ მეცნიერები და ნასწავლები ვართ, ჩვენი საქმე მეცნიერებაა, თეორია, ჩვენ მეცნიერება უნდა შევქმნათ, გამოვიძიოთ და გამოვიკვლიოთ ბუნება და მისი ძალები კანონები, თქვენ მუშებმა და მექანიკოსებმა კი იგი საქმეზე უნდა გამოიყენოთ, ხელოსნებმა უნდა გააკეთოთ ჩვენი ესა თუ ის გამოგონება ხიდან თუ ლითონიდან. მუშამ მანქანას უნდა ემსახუროს, თვით არ მოაშროს, ერთი წამითაც არ მოშორდეს და ზედ-მიფიქვით შეასრულოს მისი ყოველი მოთხოვნილება, გამოგონება რა იმის საქმეა, მას მანქანის რა გაეგება, ყველა ეს მსწავლელებისა და მეცნიერების საქმეაო“. ჩივილი და ლაპარაკი-განგება ტექნიკურ ცოდნა-განათლების ნაკლებობაზე და მის აუცილებელ საჭიროებაზე ასტეტებს ერთ და იმავე დროს თათბირობენ წლებში თითქმის ყველაგან-ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიულს შტატებში და რუსეთში. აი რას ამბობდნენ და რას სწერდნენ ისინი, ვინც დაახლოვებით და თვით საქმით იცნობდა მრეწველობას: „შრომის განაწილების გამო ყოველი მუშა ისე გაოსტატდა თავის პირდაპირ საქმეში, რომ სრულად დაჰკარგა გამოგონებათა უნარი და გონებრივი ინტერესი. ეს ემჩინება მეტადეოდ დიდი ქარხნების მუშებსაო, წინედ მუშა ბევრს რასმე იგონებდა, ახლა ეს ნიჭი საღდაც გაქრაო. მუშებმა და ხელოსნებმა გამოიგონეს და სრულ ჰქვს ყველა ის გამოგონება-განგება, რომლებმაც ძირ-ფესვიანად შესცვალეს მრეწველობა ამ უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში“.

ახლა რაღა შეუძლიან გამოიგონოს იმ მუშამ, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში მარტო იმას აკეთებს, რომ გადააბას ერთმანერთს აქა თუ იქ გაწყვეტილი ძაფებიო? ხოლო, ინტენერები კი, რომლებიც ასწავლიან მანქანების აგებულებას, მოკლებულნი არიან იმ შემოქმედება-ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელთაც შეუძლიან მიიყვანონ ისინი რისამე გამოგონებამდეო, მაგრამ რათ ავიწყლებათ ის უბრალო ჰუმანიტება, რომ მანქანათა ყოველი სისრულე თუ სხვა რითიმე შენაცვლა შეუძლიან მხოლოდ იმათ, ვინც მარტო მანქანებთან არის, მანქანებთან მუშაობსო და სხვა.

შრომა არის ნაქარვეი თუ ნადრევი, მაგრამ თუ მაინც წვიანდ გამოვიდა, იმიტომ რომ ის წარმოადგენს მხოლოდ დამხმარე სახელმძღვანელოს სოციოლოგიის შესწავლაში (სტუდენტებისთვის) მაშასადამე, უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა შენიშვნებს, და უფრო ნაკლები ბრალის დადება ავტორის მიმართ.

შრომა თავიდანვე საღაო საკითხით იწყება: „ძველი დრო, მიუხედავად მისი განვითარებულ ფილოსოფიურ აზროვნებისა, არ იცნობს იმ მეცნიერებას, რომელიც იკვლევს საზოგადოების ცხოვრებას და მისი მიმდინარეობის კანონებს...“ (გვ. 1) გგონია რომ ეს თქმა ხელაღებითა. ავტორს ვეთაბნებები იმაში, რომ სოციოლოგია, როგორც თავად დისციპლინა მე-XIX ს. წარმოიშვა, მაგრამ არ ვეთანხმები იმაში, ვითომ ძველად ამ მეცნიერებას არ იცნობდნენ. თუ ასეთ ამოცნობას გავყვებით, მაშინ არ იცნობდნენ არც ლოლიკას, არც ფსიქოლოგიას, ეთიკას, ესთეტიკას, ფიზიოლოგიას და სხ. რადგან ყველა ამ მეცნიერებათა სავანი უფინ ფილოსოფიის საგნად ითვლებოდა. მაგრამ ამას არ იტყვის ბ-ნი ვაჩიშვილი. ჩამოთვლილ მეცნიერებათა შესახებ, და ჩემის აზრით, ამის თქმა, ამ სახით არც სოციოლოგიის შესახებ შეიძლება.

—ის (ე. ი. ძველი ქვეყანა ვ. კ.) იცნობს მხოლოდ სოციალისტურ მოძღვრებას, რომელსაც აქვს წინადა პრაქტიკული მიმართულებაო“. ჩემის აზრით კი, იქ, მარტო პრაქტიკულისა, თეორიასაც აქევედნენ უფრადლებას. საზოგადოების რაობის რკვევის დროს, ანტიურ ქვეყანაშიც კი დაახლოვებით იმ პრინციპს იყავდნენ, რაც დღეს ყველა სოციოლოგის აერთებს ე. ი. რომ სოციალური მოვლენა არის ამა თუ იმ ცენტრთა მაგიერ—მოქმედება ანუ ურთიერთობა.

საზოგადოება, როგორც ცნება, ანტიურ ქვეყანაში გამოჰხატავდა იმ განწყობილებას ანუ კავშირს, რომელსაც ჰხდებოდნენ იგინი თავიანთ შრომის. და ამ საზოგადოების იდეალიზაცია ჰხდებოდა. ფილოსოფიაშიც შეიჭრა იგი როგორც ბაროვნების სავანი, და პლატონ-არისტოტელეს გარდა პითაგორასის სკოლა და შემდეგ ნეოპლატონიკოსები და ნეოპითაგორელები, გულ-მოდგენდ არა კვედნენ ამ საკითხს, და საერთოდ კი ყველას, საზოგადოება ესმოდით როგორც ხელშეკრულება, განსაზღვრულ მიზნის მისაღწევად: თუმც ეს ძველი, ანტიური გაგება არ არის სწორი საესებით, იგი



ამასთანავე ვიწროვება, მაგრამ მაინც გარკვეულია, და შეიცავს იმ გავრცელებას, რომელიც თანამედროვეებს აკავშირებს. მაშასადამე აქ უფრო სხვა გვარი თქმა საჭიროა.

სხვათა შორის, ამ მხრივ საინტერესოა გემპლოგიის მისვლა საკითხთან, რომელიც სოციოლოგიის შთანასხმებს ჰყოლობს პაუზების სწავლაში, ებრაელთა ლიტერატურაში, ინდოეთის და ჩინეთის სიბრინის-მეტყველებაში. ეს ძველად საშუალო საუკუნოებში—იბნ-ხალდუნის არაბთა მოაზროვნე, რომელსაც გუმპლოვიჩი თანამედროვე სოციოლოგიის წინამორბედად სთვლის. ყველაფერი ეს საგულისხმოა. ამას ანგარიში უნდა გავწიოთ. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ბ.ნ. ალ. ვაჩიშვილის მკითხველი შეჩერებინა ამ პუნქტებზე, არამედ ის, რომ ხელ-აღებით არ უარ-ყუო ძველი ცდები სოციოლოგიურ აზრის ჩამოსაქნელად. სოციოლოგიისა და აქვს თავისი პრე-ისტორიული ხანა. ეს ხანა უფროდღებოთ რომ არ დაეტოვებინა პატივცემულ ავტორს, მისი ისტორიული მიმოხილვა ბევრს მოიკლებდა, და ის სამართლის მეცნიერებისკენ გადაძლევა ალარ იქნებოდა ისე საგრძნობი, როგორც ესაა არის ამ წიგნში.

ისტორიულ მიმოხილვის შემდეგ, წიგნში განხილულია ე. წ. „იდეოლოგიური და პსიქოლოგიური მიმართულებები, და აგრეთვე მექანიკური მიმართულების წარმომადგენლის, „დურკჰეიმის თეორია“. ხოლო მომავალი მეორე ნაწილი კი, ავტორისავე თქმით შეიცავს: ორგანიზულ სკოლას, ანთროპოლოგიურ, გეოგრაფიულ მიმართულებას, ისტორიულ მატერიალიზმს და გენეტიკურ სოციალოგიას. ჩემთვის არ არის ნათელი ის პრინციპი, რომელშიც ავტორს მოახდინა სოციოლოგიურ სკოლათა ასეთი განკვეთა. მე მგონია რომ უფრო მიზან-შეწონილი იქნებოდა ისტორიულ-კრიტიკული გადმოცემა (თან-მიმყოლობით). თორემ ასეთი განკვეთა ჰქმნის თუნდ იმ უზერხელობას, რომ ავტორს უზღუდავს კრიტიკულ აზრის გაშლას, და თუ ოდნავ გადასცდა მცირეულ დანაწილებას, მკითხველი ვარაუდებს უზერხელო მდგომარეობაში. აი მაგალითად წიგნის დასასრულს, ავტორი, თავის აზრის ნათელსაყრად ლაპარაკობს ისეთ რამეზე, რაც წიგნში სულაც არ არის მოხსენიებული სახელდობრ: როდესაც იგი იწყებს ფსიქოლოგიურ და ობიექტიურ თვალსაზრისის შეთანხმებას, აზრის დასაბუთებისათვის სწერს: „ორგანიზული სკოლა კერძო ინდივიდის სთვლიდა „სოციალურ ერთეულად... ჩვენ კი, ამ წიგნით, ჯერ არ ვიცით თუ რას წარმოადგენს ეს ორგანიზული სკოლა, რადგან იგი მეორე წიგნისთვის არის გადადებული...“ ეს აზრი დღეს მითრევებულია, და ჩვენ კი არ ვიცით, მართლა მითრევებულია თუ არა, რადგან ამის შესახებ მომავალ წიგნში იქნება საუბარი.

შემდეგ, მე მგონია რომ თვით ტერმინოლოგიის უფრო კრიტიკულად უნდა მოპყრობოდა ავტორი, რადგან არსებული სოციოლოგიური ლექსიკონი „სე აქრელდა, რომ გზის გაკვლევა ძნელდება. აი მაგ. ავტორი აშორებს ერთი-მეორისგან იდეოლოგიურ და პსიქოლოგიურ მიმართულებებს, მაგრამ ასეთი განსაზღვრა ჩემის აზრით ვერ არკვევს საქმეს განა პსიქოლოგიური არ ჰფარავს იდეოლოგიურს? თვით ავტორიც ფარულად ასევე ფიქრობს რადგან ერთ ადგილას ასე სწერს: „შემცდარია კონტი, როდესაც ის აღიარებს ფსიქოლოგიურ ელემენტს—ოდესა... და სხ...“

ასევე მგონია რომ მექანიკური მიმართულება ჰფარავს ისტორიულ მატერიალიზმს და სხ... გადავიდეთ სხენებულ თეორიათა განხილვაზე. უნდა ითქვას, რომ ავტორს საკმაოდ ეხერხება სხვა და სხვა სისტემათა სისწორით და სისრულით გადმოცემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავი დიურკჰეიმის შესახებ, სადაც გარდა ცოდნისა, სჩანს კრიტიკის უნარიც. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნის ბოლო კარი, სადაც ავტორი სცდილობს თავის მოსაზრებათა გადმოცემას, და ისეთი თამამად ახალ საკითხის შესახებ, როგორც არის პსიქოლოგიური და მექანიკური შეხედულებათა შერიგება.

ბ.ნ. ალ. ვაჩიშვილი ასე მსჯელობს: „მოქმედება შეადგენს აუცილებელ ელემენტს ყოველი საზოგადოებრივი ცხოვრებისა... (გვ. 87). მოქმედება როგორც ნებითი პროცესი, ერთი მხრივ ეკუთვნის სულიერ განცდას (?) მეორეს კი—ფიზიოლოგიას... (გვ. 85). მაშასადამე, „საზოგადოების ცხოვრება (ე. ი. მოქმედებათა ჯამი ე. კ.) წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს, რომელიც აშკარადდება ერთი მხრივ—სულიერ მოვლენებში, მეორეს მხრივ კი—მატერიალურ მოძრაობაში, რომლის საშუალებით მდიდრდება ნივთიერი კულტურა, და მტკიცდება ურთიერთობა ადამიანთა შორის. ორივე მხარეს განვიტარება შეადგენს კაცობრიობის ევოლუციის მთავარ მიზანს...“ (გვ. 98—99).

ასეთია სქემატურად ალ. ვაჩიშვილის მსჯელობა. ვიდრე ზემოხსენებულ სინთეზის შესახებ ვიტყვოდეთ რამეს, უნდა თავიდანვე განვსაზღვროთ ის, რის შერიგებაც ჰდება. ჩემის აზრით, საკითხთან სინთეტიკური გზით მისვლა უიქველად ბ.ნ. ვაჩიშვილის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რადგან მონისტურმა აზროვნებამ მეტად შეზუთა აზრის გაქანება და ჰემიპარიტეზასაც ვერ მიაგნო. მაგრამ რას არიგებს ან რა გზით? პსიქოლოგიურს ერთი მხრივ—რაც ჰგულისხმობს ისეთ ფაქტებს თუ განცდებს, რომელიც ცდის და დაკვირვების გარეშე რჩებიან, და მაშასადამე სუბიექტიურის მატარებელნი არიან, და მეორე მხრივ მექანიკურს, რაც დიდი დოგმატიზმით და მეტაფიზიკით არის სავსე. მაშასადამე, თვით შესარიგებელი ელემენტები ისეთი ბუნებისანი არიან რომ თუ საკითხი ძირიანად ახლად არ დაისვა, ისე, არსებულია შერიგება დაუძლეველ და შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ ბ.ნ. ალ. ვაჩიშვილი სცდილობს საკითხის ახალ კუთხით მოზრუნებას მაგრამ მაინც არ შემიძლიან დავითანხმო დებულების სისწორეში. ეს დებულება ამბობს, რომ მოქმედება არის საზოგადოებრივ ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა და ამ ძალის პსიქო-ფიზიკური ბუნების გამო, ამტკიცებს პსიქიურ და მექანიკურ სინთეზის შესაძლებლობას. მაგრამ ყველა ის სოციოლოგები, რომელნიც ადამიანთა მოქმედებას ასეთ პირველ მიზეზად წარმოადგენენ, უეჭველად მირაქების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რადგან მოქმედება არის შემდგომი რეზულტატი, რომელსაც წინ უსწრებს კოლექტიური ცდა, ეს პსიქიკურ ურთიერთობის უშუალო გამომჟღავნება. და პსიქიკური ურთიერთობა კი სხვა არის და სოციალური მოქმედება კი სხვა. ეს უთანასწორო დიფერენციაციის და ფორმათა მიღების შედეგია.

მაგრამ ვთქვათ რომ ეს ისე არის, როგორც ბ. ვაჩიშვილს უნდა იმის რა გამოდინარეობს? ბ.ნ. ვაჩიშვილი არ მიდი ბოლომდე. მე მგონია, რომ როდესაც იგი ჰმზარბს ცნებას „სულიერი“, „სულიერი“; იგი ჰგულისხმობს შეგნებას და არა რაიმე თეოსოფიურ თუ მეტაფიზიკურ კატეგორიას, და თუ ეს ასეა, მაშ იგი ბოლომდე უნდა მივიდეს და სთქვას, რომ სოციალურ სინამდვილეში მოცემულ არიან ერთი მხრივ გარეგან ხასიათის მიზეზები, რომელნიც აუცილებლობის ხასიათს ატარებენ და ხშირად ეწინააღმდეგებიან ჩვენს სურვილებს, და მეორე მხრივ შინაგანი ხასიათის მიზეზები, რომელნიც ერთნაირ პირობებში ერთნაირად გვამოქმედებენ. ეს მეორე მიზეზებიც აუცილებელნი არიან, მაგრამ აქ მიზან-შეწონილება იფარება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც ამ მეორე ხასიათის მიზეზები მრავლად გვხვდებიან, აშკარაა, მხოლოდ გარეგან კაუზალობის საზომით არ შეიძლება მისვლა, არამედ თეოლოგიურიც უნდა მოვიხმაროთ. ეს იქნება და მგონია არის ის პირდაპირი დასკვნა, რომელიც გამოდინარეობს ფსიქიკურის და მექანიკურის სინთეზიდან. მხოლოდ იმის თქმა, რომ საზოგადოებრივი მოვლენა არის ერთდროულად შინაგანი და გარეგანი, კიდევ არ ნიშნავს საკითხის გადაჭრას. აქ საკითხის დასმა მხოლოდ. როგორ გადასჭრის ბ.ნ. ალ. ვაჩიშვილი დაუცადით.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ წიგნს თავიდან ბოლომდე ერთნაირი ღირსება არა აქვს. არიან ადგილები, მართლა უნარით და მეცნიერული სიღინჯით განხილულნი.

მაგრამ საერთოდ, ნაკლი ვერ სრდილავს წიგნის ღირსებას, რომელიც ჩვენი დაცალიერებული ბაზლიოთეიკისთვის მეტად ძვირფასია და მნიშვნელოვანი. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, როგორშიც ეს წიგნი არის წარმოდგარი, უნდა ვთქვათ, რომ ბ. ალ. ვაჩიშვილი უფრო კარგ პირობებში შესძლებს იმ გაღვიძებულ იმედების გამართლებას, რომელსაც ეს პირველი წიგნი იწვევს. ჩვენი ავტორი მეცნიერულ კარიერის დასაწყისში სდგას. ამ დასაწყისისთვის, მისი პირველი წიგნი უეჭველად კარგი მაჩვენებელია. ხოლო თუ ჩემმა შენიშვნებმა უფრო მეტი ადგილი დაიჭირეს, ვიდრე წიგნის ღირსებთან ადგილებმა, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი სიამოვნებით ვხვდები ამ წიგნს, და გულწრფელად მსურს ჩვენი ავტორის გამაჯვება.

მეცნიერულ კარიერას დიფერანციალი არ უხდება.

მას უნდა საქმისადმი თანაგრძნობა და „თქმა მართლისა სიმართლისა“.

ვახტანგ კოტეიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

აზრ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას: 1921 წ. ე. ი. საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში, შემდეგ კი ვიყავი უპარტიოთ დღემდე, დღეს კი დავრწმუნდი რა, რომ საქ. დემარტ. სოც. ფედ. სარეგ. პარტია არის ნამდვილი დამცველი ეროვნებისა და შრომისა, რისთვისაც სრული შეგნებით ვუერთდები ამ პარტიას და მთელი ჩემი ენერგიით ვიმუშავებ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ექვთიმე გაბოკიძე.

საქართველოს სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. ივნისის 11.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის მოწყობის შესახებ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება—ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის—კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.

1.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე (საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებში) მიზნად ისახავს როგორც ამ ქვეყნების ისე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ყოველმხრივ შესწავლას და აგრეთვე სამეცნიერო და გამეცნიერებოთ ცოდნის გავრცელებას მის შესახებ.

2.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ამოცანას შეადგენს შესწავლა: ა) პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალური საკითხებისა და ბ) ისტორიულ-ენოლოგიური საკითხებისა, რისთვისაც იგი გააყვას თავის სამეცნიერო მუშაობას, ორ-სათანადო სექციად.

3.

აღნიშნული სამეცნიერო მიზნების განხორციელებისათვის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია:

ა) მეცნიერული ურთიერთ დახმარების მიზნით, დაიქვრს ურთიერთობას არსებულ სამეცნიერო საზოგადოებათა და ორგანიზაციებთან და იქონიებს მათთან სამეცნიერო და საინფორმაციო კავშირს;

ბ) აღმოუჩენს დახმარებას ორგანიზაციით და დაწესებულებათ ასოციაციის მიზნების განხორციელების საქმეში, როგორც ადგილობრივ, ისე ამიერ-კავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში გარეშე;

გ) მოაწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს-ექსკურსიებს;

დ) გამოსცემს თავის შრომათ.

შენიშვნა: ყველა სააღრიცხვო და საორგანიზაციო განზრახულება ექსპედიციის მოწყობისა და საგამომცემლო მუშაობისათვის—წარედგინება დასამტკიცებლად, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

4.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის აქვს თავისი განყოფილებანი საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებში.

5.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვინც მუშაობს ასოციაციის მიზნების სფეროში, თანაუგრძნობს ამ მიზნებს და სასარგებლო იქნება ასოციაციისათვის.

6.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრი განიყოფან ნამდვილ წევრებად და კორესპონდენტ წევრებად:

ა) ასოციაციის ნამდვილ წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვისაც აქვს სპეციალური ნაშრომი, ასოციაციის მიზნების სფეროში, ან დაინტერესებულია სათანადო კითხვებით. იგი აირჩევა განყოფილების საერთო კრებაზე განყოფილების ორი ნამდვილი წევრის წერილობითი, დასაბუთებული წინადადებით, ხმის უბრალე უმრავლესობით;

ბ) წევრი კორესპონდენტი აირჩევა განყოფილების წევრთა საერთო კრებაზე მე-ნ მუხლში აღნიშნულ პირობებზე; წევრი კორესპონდენტი მიაწოდებს ინფორმაციას თავის განყოფილებას ყველა საკითხში, რაც უკანასკნელს აინტერესებს, შესაძლებლად ცალკე დავალებათ და სარგებლობს სათანადო ხმის უფლებით.

7.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ყველა საქმეებს განაგებს პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან; ორს მათგან-თავმჯდომარეს და პასუხისმგებელ მდივანს დანიშნავს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო სამს გაგზავნის, რესპუბლიკური განყოფილებანი—თვითეული თითოს. პრეზიდიუმი დასახელებს თავისი წრიდან მეცნიერ-მდივანს და სამეცნიერო სექციების გამგებთ.

8.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმი იმყოფება ქ. ტფილისში, მას სისრულეში მოჰყავს მე-3 მე მუხლში ჩამოთვლილი სამეცნიერო დავალებანი და ხელმძღვანელობს განყოფილებათ.

9.

ადგილობრივი განყოფილება აწარმოებს საქმეს და ასრულებს ასოციაციის დავალებათ, რესპუბლიკის მასშტაბით,—თანხმად ასოციაციის პრეზიდიუმის ინსტრუქციებისა.

შენიშვნა: ყველა თავის სამეცნიერო მუშაობასა და მასალას, განყოფილება წარუდგენს პრეზიდიუმს.

10.

ასოციაციის თვითეული რესპუბლიკური განყოფილება აირჩევს გამგეობას სამი კაცისაგან. გამგეობა აირჩევს თავისი წრიდან მეცნიერ-მდივანს, რომელსაც დაამტკიცებს პრეზიდიუმი.

11.

განყოფილებას შეუძლიან, იმ მიზნების ფართოდ შესრულებისათვის, რაც მას დასახული აქვს, როგორც სახელმწიფოთა შესწავლისა, ისე მათ შესახებ სამეცნიერო ცოდნის გავრცელების საქმეში,—მოაწყოს თავისთან ფილიალები და ნაციონალური სექციები.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმთან, განყოფილება დაიქვრს ურთიერთობას, თავისი მეცნიერ-მდივანის მეშვეობით.

12.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმს აქვს ბეჭედი წარწერით: „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან“.

რესპუბლიკური განყოფილების გამგეობას აქვს ბეჭედი წარწერით: „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია“—..... განყოფილება.

13.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ფინანსები შესდგება იმ თანხებიდან, რასაც გადასდებს (ალრიცხვით) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

14.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია წელიწადში ოთხჯერ გაგზავნის ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, დაწვრილებით ანგარიშს თავის მოქმედებისა და აგრეთვე მის მიერ დახარჯული თანხების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე 8. ცხაკია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი 8. თალიბი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუ' ხა

სტვილინიდან გავის		სტვილინში მოდის	
მატ. № 1 სწრაფი მოსკოვში შაბათობით	1600	მატ. № 1 ბათუმიდან შაბათობით	14.40
მატ. № 1 სწრაფი პეტროგრ. პარასკევბ.		მატ. № 2 მოსკოვიდან სამშაბათ.	
მატ. № 1 " " " სამშაბათ.		მატ. № 2 პეტროგრადიდან ოთხშაბათ.	15.30
მატ. № 2 " ბათუმი სამშაბათ.	16.40	მატ. № 3 ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 3 როსტოვში ყოველდღე	23.35	მატ. № 4. როსტოვიდან " "	6.35
მატ. № 3 კახეთში " "	7.15	მატ. № 4 კახეთიდან " "	21.50
მატ. № 4 ბათუმი " "	8.05	მატ. № 7 ბათუმიდან " "	8.50
მატ. № 8 ბათუმი " "	20.40	მატ. № 19 ბორჯომიდან " "	8.00
მატ. № 20 ბორჯომში " "	15.20	მატ. № 21 ბათუმიდან " "	4.20
მატ. № 21 ბაქოში " "	11.25	მატ. № 22 ბათუმიდან " "	14.50
მატ. № 22 ბათუმი " "	0.20	მატ. № 4 ერევნიდან ყველ რიცხვში	10.20
მატ. № 3 ერევნი კენტი რიცხვში	18.00	მატ. № 3 კახეთიდან " "	18.45
მატ. № 35 კახეთში " "	10.35	მატ. № 34 ჯულფიდან კენტი რიცხვში	18.15
მატ. № 31 ჯულფაში ყველ რიცხვში	23.00		

ს ა ა გ ა რ ა კ ი

მატ. № 18 ბორჯომში კვირაობით	7.10	მატ. № 17 ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 16 ხაშური შაბათობით და უქმის წინაღლით	1.55	მატ. № 15 ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინაღლით.	5.10